ცნობის ფურცელი

№ 2525 სამშაბათი, 15 ივნისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2525

გა[illegible]თი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„М ამბе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფაბრიკოსაწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები ტელეფონი № 679. (0—128)

◆ გორჯომში ნიკოლოზ სიხარულიძესთან—„პარკში“ იყიდება ყოველ დღე გაზ. „ცნობის ფურცელი.“ ◆

ტფილისში ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ა. ა. ალიხანოვის მშვენივრათ მორთულ საკანდიტერო დარბაზში
იყიდება
მიტროფანე ლაღიძის
საუკეთესო ქარხნის ნამდვილი
ხილეულის
მშვენიერი გემოსი და არომატის წყალი ზომიერ ფასებში. (20—ნქ.—8)

„იუჟნიე ნომერა“
ბარონის ქუჩაზე, სახლი ა. მანთაშევისა, ახლად გადაკეთებულია. თითო ნომერი ქირავდება დღიურად 50 კაპ. დაწყებული და თვიურად 15 მანეთიდან დაწყებული. (6—230—5)

ბუნების მეტყველების უმაღლეს კურსის სტუდენტი, დახელოვნებული რეპეტიტორი ეძებს გაკვეთილებს. ორჯუმის ქუჩა № 10, სტუდენტი ქავთარაძე. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება საღამოს 5—7 საათამდე. (5—6.—4)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.
მ. ტ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.
არ. ვ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.
ბ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.
მძ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და სამშობიარო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.
საღამოთი:
ვ. ვ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.
სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან თამდე.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის იდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ნის ქუჩიდან-კი 34 Б. (წლ.)
ტელეფონი № 274.

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—20)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელიზაბედის ქუჩა, № 88).
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე საღამოობით 5—7-მდე.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორლანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 ივნისი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის დეპეშა, მისს უდიდებულესობას 13 ივნისს: „10 ივნისს, დილის 8 საათზე, პორტ-არტურის ესკადრა კონტრ-ადმირალის ვიტგეფტის უფროსობით ზღვაში გავიდა. ესკადრა შესდგებოდა 6 ჯავშნიან გემისა, 5 კრეისერისა და 10 ნაღმიან გემისაგან. ესკადრას თვალ-ყურს ადევნებდნენ ლიაოტეშანის სასიგნალო სადგურიდან. ესკადრა უხიფათოდ გავიდა. ჩვენის გემების გასვლის დროს ჰორიზონტზე მოსჩანდა 9 გემიანი მტრის ესკადრა. სხვათა შორის, ესკადრაში იყო 3 ჯავშნიანი და 22 ნაღმიანი გემი. ჩვენმა ესკადრამ იერიში მიიტანა იაპონიის ესკადრაზე. ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გათავდა ბრძოლა, ჯერ არ მიმიღია.“

გენერალ სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 12 ივნისს 1904 წ. „12 ივნისს, დილით, მტრის მოწინავე რაზმებმა, რომელთაც ეჭირათ მდინარე ხოს ხეობა (გაიჩოუს სამხრეთ-დასავლეთით, 16 ვერსის მანძილზე), გაიარეს სამხრეთისკენ 10 ვერსი და მიუახლოვდნენ სენიუჩენს. 11 ივნისს, დღისით, ორი როტისა და ორი ესკადრონისაგან შემდგარი მტრის რაზმი მიუახლოვდა სოფელ სიადანს მთებში, გაიჩოუს სამხრეთით, 11 ვერსის მანძილზე. მტრის მზვერავი რაზმები გამოჩნდნენ აგრეთვე ხუაივაფინში, გაიჩოუს აღმოსავლეთით, 25 ვერსის მანძილზე და ულელტეხილ ჩაპანლინის ჩრდილოეთ-დასავლეთით, 7 ვერსის მანძილზე (სიუიანიდან გაიჩოუს მიმავალ გზაზე). იაპონელთა მოწინავე რაზმმა დაიჭირა სოფელი ტიამარლგოუ, კხანზის მიმავალ გზაზე, ჩაპანლინის დასავლეთით, სიახოტანისკენ 12 ვერსის მანძილზე. მტრის მზვერავი რაზმები კოლდაგოუსა (კხანზა-სიახოტანის გზაზე) და მადიავაიზას (სიუიან-გაიჩოუს გზაზე) შორის არიან. პანძიაზეისა და პანჩანიუს შორის ულელტეხილი მტერს არ უჭირავს. სიუანისა და ხაიჩენს შუა ცვლილება არ მოხდარა. ფინხუანჩენიდან ხაიჩენს მიმავალ გზაზე, სარანგოუში (ფინხუანჩენის ჩრდილოეთ-დასავლეთით, 25 ვერსის მანძილზე) 11 ივნისს ჩვენ რაზმს შეტაკება ჰქონდა მტრის მზვერავ რაზმთან. იაპონელებს მოუკლეს 1 კაცი. 11 ივნისს, საღამოთი, იაპონელები წავიდნენ წინ სარანგოუდან ხაიჩენის გზით და 2 როტისაგან შემდგარმა მათმა მოწინავე რაზმმა დაიჭირა სოფელი კანგაკუპა, სარანგოუს ჩრდილოეთ-დასავლეთით, 8 ვერსის მანძილზე. მტრის პატარა რაზმმა დაიჭირა აგრეთვე ტუნგოპუზა, სელიუჯანის ჩრდილოეთ-დასავლეთით, 8 ვერსის მანძილზე.

(დამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „რუსკოე სლოვო“-ს სამხედრო კორესპონდენტი ბ-ნი ნემიროვიჩ-დანჩენკო იუწყება: გუშინ, 7 ივნისს, გაიჩოუში, გენერალმა კუროპატკინმა გენ. შტაკელბერგის კორპუსი დაათვალიერა და გამომშვიდობების დროს უთხრათ: „ნახვამდის! იაპონელებს მალე ბოლო უნდა მოვუღოთ, თორემ შინ აღარ მიგვესვლებაო“.

„ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: გენ. ოკუს ჯარს გენ. კუროკის ერთი დივიზიაც მიემატა; ასე რომ გენ. ოკუს გაიჩოუსაკენ 70 ათასი ჯარის კაცი მიჰყავსო. იაპონელებმა პორტ-არტურთან ახალი ჯარი გადაიყვანეს. ეხლა იქაც 90 ათასი ჯარის-კაცი ჰყავთ; ამ ჯარს გენ. ნოგი უფროსობსო. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ გაზეთებმა დღემდე რიგზე ვერ გაიგეს, რომელ არმიას რომელი გენერალი უფროსობს. ნამდვილად მხოლოდ ის იციან, რომ იაპონიის პირველ არმიას გენ. კუროკი უფროსობს.

გენ. შტაკელბერგის კორპუსმა დღე და ღამე იარა და გენ. ოკუს ხელიდან წაუვიდა. მაგრამ გენ. ნოძუ თავის რაზმით სიუანიდან გავიდა, წინ დაუხვდა და დაეცა გენ. შტაკელბერგსაო. („რ. ლ.“).

„დეილი ექსპრეს“-ის კორესპონდენტი იუწყება ჩიფუდან: გენ. კუროპატკინმა ორი დივიზია გაგზავნა გენ. შტაკელბერგის საშველად, მაგრამ სინამ ეს ჯარი მიეშველება, იქნება იაპონელი გენერალი წინ გადუდგეს გენ. შტაკელბერგს და გზა მოუჭრასო. („რ. ლ.“).

ინგლისურ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ: იაპონელები სიუანის დასავლეთით, ამ ქალაქიდან 30 მილის სიშორეზე, გენ. შტაკელბერგის კორპუსს დაეცნენო. იაპონიის ჯარს გენ. ნოძუ უფროსობდაო. („ბ. ვ.“).

ფრანგულ გაზ. „პტი პარიზიენ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება, ხმა დადის, იაპონელებმა გენ. შტაკელბერგის კორპუსს გზა მოუჭრესო, მაგრამ ბევრს არა სჯერა ეს ხმა. ბევრნი ირწმუნებიან, გენ. შტაკელბერგი თავის კორპუსით გაიჩოუში ავიდა და აქ შედგაო. („რ. ლ.“).

„რეიტერის სააგენტოს“ დეპეშით ატყობინებენ ლიაოიანიდან: 7 ივნისი. აქ ამბავი მოვიდა, გაიჩოუს სამხრეთით ახალი დიდი ბრძოლა მოხდაო. რკინის გზის მატარებელმა დაჭრილი რუსები გაატარა ჩრდილოეთისაკენ. ამ მატარებელს სხვებიც მოჰყვებიან. („რ. ს.“).

„დეილი ქრონიკლ“-ის კორესპონდენტი იუწყება ფინხუანჩენიდან: რუსებმა ხაიჩენთან ბლომად ჯარი შეკრიბეს; უნდათ, რომ იაპონიის მეორე არმიას (ვაფანგოუდან წამოსულს, გენ. ოკუს უფროსობით) დაეცნენო. რუსები გენ. კუროკის წინააღმდეგაც დიდ ჯარს ჰგზავნიან. ცდილობენ, რომ იაპონიის პირველი და მეორე არმია ერთმანეთს მოსწყვიტონ. გენ. კუროკის წინააღმდეგ გაგზავნილ რუსის რაზმებს არტილერიაც ძლიერი ჰყავთ. ჰფიქრობენ, მალე დიდი ბრძოლა მოხდებაო. („მ. ვ.“).

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ: ხაიჩენთან რუსებს ორი დივიზია ჰყავთ და ამას გარდა სიაგაოისთანაც (ხაიჩენის აღმოსავლეთით) ძლიერი რაზმები უდგათ. („რ. ს.“).

„რუს“-ს დეპეშით ატყობინებენ ლიაოიანიდან: აქ ჰფიქრობენ, რომ ხაიჟენსიანსა (საიმაძის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით) და ტუნგოის (ხაიჟენსიანის აღმოსავლეთით) შუა მალე დიდი ბრძოლა მოხდებაო.

პორტ-არტურის ესკადრა 10 ივნისს ნავთსადგურიდან გასულა და ადმირალ ტოგოს ესკადრა შეჰბრძოლებია. რით გათავებულა ეს ბრძოლა, ჯერ არავინ იცის... რუსებს ამ ჟამად პორტ-არტურში ჰყავთ: 6 დიდი ჯავშნიანი გემი, 4 დიდი კრეისერი და 1 პატარა („ნოვიკი“); ადმირალ ტოგოს 6 დიდი ჯავშნიანი გემი ჰყავს (და თუ ჯავშნიანი გემი „იაშიმა“-ც შეაკეთეს, მაშინ ერთით მეტი ეყოლება) და 9 დიდი კრეისერი. ბრძოლის დროს უმთავრესად ამ დიდ გემებსა აქვთ მნიშვნელობა. ამას გარდა რუსებს ვლადივოსტოკში 3 კარგი დიდი კრეისერი ჰყავთ (მეოთხე კრეისერი „ბოგატირ“-ი დაზიანებულია), მაგრამ ვლადივოსტოკისაკენ იაპონელებს უფრო ძლიერი ესკადრა ჰყავთ გაგზავნილი ადმირალ კამიმურას უფროსობით. ადმირალ კამიმურას 3 ჯავშნიანი კრეისერი და 4 პალუბა-ჯავშნიანი კრეისერი ჰყავს.... („რ. ვ.“).

იაპონიის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, ბეჯითი ღონისძიებაა მიღებული, რომ სატრანსპორტო გემებს აღარა დაუშავდეთ რაო. („ბ. ვ.“).

ამას წინად დეპეშამ გვაცნობა, სატრანსპორტო გემებზე 2 ივნისს იაპონიის ჯარის მთავარ-სარდალი მარშალი ოიამა მთელის თავის შტაბით დაიღუპაო. ეს ცნობა ტყუილი ყოფილა. „სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტოს“ დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: 8 ივნისს იაპონიის იმპერატორმა მარშალი ოიამა, მარშალი იამაგატა და შტაბის უფროსი გენერალი კოდამა აუდიენციაზე მიიღოო. („რ. ს.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტს გემ „მანჯუმარუ“-თი (რუსის გემ „მანჯურიას“-ს იაპონელებმა „მანჯუმარუ“ დაარქვეს) 5 ივნისს რუსის ტყვეები უნახავს კუნძულ მასუიამაზე. ამ კუნძულზე სულ 592 რუსის ტყვე ყოფილა. ამათში ცინჩოუსთან და ნანშანთან 13 მაისს დატყვევებული რუსებიც ყოფილან. ტყვე რუსებს ძლიერ კარგად უვლიან იაპონელებიო,—სწერს კორესპონდენტი. („ნ.“).

„რუსკი ლისტოკ“-ის კორესპონდენტი ბ-ნი ელეცი სწერს: ცინჩოუსთან 13 მაისს ჩვენ (რუსებმა) 2,800 კაცი, მოკლული და დაჭრილი, დავკარგეთო. პორტ-არტური ზღვიდანა, თუ ხმელეთიდან მიუვალი ციხეა, მით უმეტეს, რომ იქ 50 ათასი ჯარის კაცი გვყავს. ამოდენა მეციხოვნე ჯარი გინდა 200 ათას კაცს მოიგერიებს. მეციხოვნე ჯარს სამხედრო სურსათიც ბლომად აქვს; საკვები ხომ მთელის წლის სამყოფი აქვს.

იგივე კორესპონდენტი სწერს: ცინჩოუსთან 12 და 13 მაისს იაპონიის ჯარს გენ. ოკუ უფროსობდა. გენ. ოკუმ ჩინეთ-იაპონიის ომის დროს შესანიშნავი სტრატეგიული ნიჭი გამოიჩინა; ჯარსაც ძლიერ უყვარს. აფიცერი თუ ჯარის-კაცი, ყველანი გატაცებით აქებენ გენ. ოკუს. („რ. ლ.“).

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: რუსის სამხედრო წრეები თან-და-თან რწმუნდებიან, რომ ომი 1905 წლის დამლევამდე გასტანსო. („რ. ლ.“).

ბრძოლა ვაფანგოუსთან 1 და 2 ივნისს. „რუს“-ის კორესპონდენტი ბ-ნი ერასტოვი დეპეშით იუწყება: 1 ივნისს მთელი დღე ბრძოლაში გავატარეთ და საშინლად დავიქანცენით. ბევრი ჩვენგანი ღამე ძილს აპირობდა, მაგრამ უცებ მარჯვენა ფრთაზე თოფის სროლა გაისმა. რუსის მოწინავე მწკრივმა იაპონელებს თოფი დაუშინა. თითქმის აღარავინ არ დაწოლილა. ყველგან ცეცხლი გააჩაღეს, ფანრები აანთეს და გარშემო აფიცრები და სალდათები შემოუსხდნენ. ყველანი ლაპარაკობდნენ და ერთმანეთს ნახულსა და გაგონილს უამბობდნენ. ჩაია მოვატანინე, ქვეშ გავიშალე და წამოვწექ. ჩემს ახლო ერთი დრაგუნი სალდათი ყაზახის აფიცერ ჩერეპახინის ამბავს უამბობდა თავის ამხანაგებს: ჩერეპახინი დილით ადრე ორის ყაზახით მტრის დასაზვერად წავიდა; პატარა ტყეში ორი დარაჯი ჯარის-კაცი დაინახეს. ყაზახებმა უთხრეს აფიცერს: თქვენო კეთილშობილებავ, ეს იაპონელები არიანო.—არა, ეგ ჩვენები არიანო.—წინ გასწიეს. როცა ტყე გაიარეს, უკანიდან უცებ თოფები დაახალეს. ჩერეპახინი ცხენიდან გადმოვარდა. ერთი ყაზახი ცხენიდან გადმოხტა და აფიცერს მიჰვარდა. მეორე ჩვენებთან (რუსებთან) გაიქცა ამბის წასაღებად. ჩვენები ხელად მიცვივდნენ საშველად, მაგრამ ვეღარც ჩერეპახინი, ვეღარც იაპონელები ვერსად ვერ იპოვეს. დილის მეექვსე საათზე საშინელმა ზარბაზნის სროლამ გაგვაღვიძა. იაპონელები ლუნკოუს ახლო

იერიშით წამოვიდნენ ჩვენს ჯარზე. ჩვენი მარცხენა ფრთა გენ. გერნგროსის უფროსობით იაპონელების მარჯვენა ფრთას უვლიდა. მე ცენტრისაკენ (შუა ჯარისაკენ) გავსწიე. გზაში ერთი აფიცერი შემხვდა; ცხენს მოაქროლებდა და დამიძახა: ნაბძანებია, იერიში მიიტანეთო. წუხელის მოსული მე-35 პოლკი თავის ბინიდან დაიძრა და ლოცვის გალობით საბრძოლველად წავიდა. მალე მარცხენა ფრთასა და ცენტრს შუა, 12 მილის მანძილზე, ყველგან ბრძოლა გახურდა, ყველგან თოფი სჭექდა და ზარბაზანი ჰქუხდა. ჩვენი რაზმები ხშირად სულ მოულოდნელად წააწყდებოდნენ ხოლმე იაპონელებს. შუადღის დროს ჩვენს ახლო ზარბაზნის ჭექა-ქუხილი ასტყდა, ყველაფერი პირ-დაირია: თურმე იაპონელებს ჩვენი მარჯვენა ფრთისათვის უკანიდან მოევლოთ და ჩვენი ცენტრი გაერღვიათ; ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია და ვაფანგოუს სადგურისაკენ გაეშურა. სადგურზე უკანასკნელი მატარებელი მოვიდა; დაჭრილები საჩქაროთ ჩასხეს შიგა. სადგურში შესვლა მოვინდომე, იქ ჩემი ბარგი ეწყო, მაგრამ ველარ მოვახერხე: ყუმბარები სადგურს ახლო ცვიოდა, ყველაფერს ანგრევდა, დედამიწას ბდღვირს ადენდა. ჩვენი ჯარი საჩქაროთ უკან იხევდა. როგორც იყო, მატარებლის ლოკომოტივზე აველ და დავჯექ. ნაშუადღევის 1 საათსა და 20 წამზე მატარებელი დაიძრა ვაფანგოუდან და დაჭრილები წაიყვანა. იაპონელები ყუმბარის სროლით გვაცილებდნენ. ტობოლსკი პოლკი უკანასკნელ წამამდე დარჩა სადგურზე და იაპონელებს აჩერებდა. რკინის გზის მარჯვნივ ჩვენი კორპუსის ქარავნები მიდიოდნენ. უკან დახევის დროს პროვიანტის (საჭმელ სურსათის) საწყობების აფეთქება მოვასწარით. სამწუხაროდ, ჩემი ბარგი, ჩემი დღიური და ბრძოლის დროს დახატული პლანები და სურათები სულ იაპონელებს დარჩათ.“

ფრანგულ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: ვაფანგოუსთან ბრძოლის დროს 1 და 2 ივნისს რუსებს 10 ათასი კაცი დაუკარგავთ მოკლული და დაჭრილი. ყველაზე დიდი ზარალი რუსის მარცხენა ფრთას მიაჰსვლია; ამ მხარეზე რუსებს არც ერთი ზარბაზანი აღარ დარჩენიათ. რუსებს ვაფანგოუსთან 108 ზარბაზანი ჰქონიათ, იაპონელებს-კი ერთი ორად მეტიო. („ნ. ლ.“).

ტოკიოში ოფიციალურად გამოაცხადეს, 4 ივნისს საღამომდე იაპონელებმა ვაფანგოუს ბრძოლის ველზე 1516 მოკლული რუსი დაასაფლავეს და ჯერაც არ მორჩენილან დამარხვასაო. იაპონელები ამბობენ, ვაფანგოუსთან ჩვენი ქვეითა ჯარი, კავალერია და არტილერია ყველანი თანხმობით მოქმედებდნენ, ერთმანეთს დახმარებას უწევდნენ და აკი გაიმარჯვეს კიდევაცაო. („რ. ლ.“).

„დეილი მეილ“-ს დეპეშით ატყობინებენ ნიუ-ჩუანიდან: 6 და 7 ივნისს დაშიცაოზე 3,500 დაჭრილი რუსი გაატარეს ხარბინისაკენაო. („რ. ს.“).

ახალი ამბავი

✦ კავკასიაში დღემდის საპყრობილოებიდან **ტუსაღები** ქვეითად მიჰყავდათ ადგილობრივ სამოსამართლო და საადმინისტრაციო დაწესებულებებში, წინააღმდეგ კანონთა კრებულის მე-328 მუხლისა, რომლის ძალითაც ტუსაღები საპყრობილის კარეტით უნდა ატარონ ხოლმე, მეტადრე თუ ავადმყოფია. ეხლა მთავარ-მართებელმა განკარგულება მოახდინა კავკასიის საგუბერნიო საპყრობილეთა საყურადღებოდ, რომ ზომები მიიღონ, შემოიღონ კარეტები და ამით თავიდან აიცდინონ ტუსაღების ხშირი გაქცევა.

✦ როგორც აღნიშნული გვქონდა, ტფილისის საბჭოს საფინანსო კომისიამ ლაპარაკი აღძრა **დიდის სესხის აღების** შესახებ, რომლითაც ქალაქმა უნდა ააგოს საყასბო და გააკეთოს სხვა საქმეები. გუშინ საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს სხვა კომისიების თავმჯდომარეთ, გამოსთქვან თავიანთი აზრი იმის შესახებ, თუ რაოდენ სესხის აღებაა საჭირო.

✦ 14 ივნისს გუბერნატორმა დაამტკიცა წესდება სოფ. **თიანეთის უფასო სახალხო სამკითხველოსი.**

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ **იჯარით** აიღო კასპში თავ. ერისთავის მამული, სადაც **საბაღოსნო სკოლისათვის** გააშენა სანერგე და ბაღი. რადგან შემოდგომაზე **იჯარის** ვადა თავდება, საბაღოსნო სასწავლებლის სამეურნეო კომისიის წევრმა ფ. ამირაღოვმა განუცხადა საზოგადოების საბჭოს, გორში, რკინის გზის ნაპირად სკოლისათვის დაგვითმობთ შეღავათიანის პირობით 6 დესეტინა მიწასაო.

✦ ახალციხის მაზრის სოფელ საფაშეთში **საქონლის ჭირი გაჩენილა.**

✦ დუშეთის მაზრის მომრიგებელ შუამავლის თავ. ი. ჯანდიერის ნაცვლად, რომელმაც სამსახურს თავი დაანება, ინიშნება **დუშეთის თავად-აზნაურთა** წინამძღოლი გ. ა. ყარანგოზიშვილი, ხოლო უკანასკნელის ნაცვლად მაზრის მარშლად იქმნება ბ-ნი ყაზბეგი.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა გამგეობის წევრის თავ. ნ. ე. არღუთინსკის წინადადება ქალაქის საყასბოს სადგომის ხელმეორედ დაფასების შესახებ. წევრმა განაცხადა, რომ საყასბო მცირედ არის დაფასებულიო. გამგეობამ დაადგინა, დაავალოს სანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს, მოელაპარაკოს დამზღვევ საზოგადოებას და ხელმეორედ დააფასებინოს ქალაქის საყასბოს სადგომი.

✦ დიდუბის სამკურნალოს გამგედ დაინიშნა ექიმი ქალი შჩერბინინისა.

✦ რედაქციამ მიიღო შემდეგი წიგნები: 1) ლექსები, ილია ჭავჭავაძისა, გამოცემული წიგნის მაღაზიის „ცოდნა“-ს მიერ, ფასი 15 კაპ. და 2) „რაშია ბედნიერება?“ იასე რაჭველისა, გამოცემა წიგნის მაღაზიის „ცოდნა“-სი.

✦ ახალქალაქის მაზრაში ამ ჟამად ბეითლებს შემდეგ ადგილებში დაუმთავრებიათ საქონლის ჭირთან ბრძოლა: ზაქ-ხანდოში, იურუხ-ორჯაში, დიდ და პატარა კანდურში, გოგაშენში, აპნიაში, დანგალში და გუმურდოში. ავადმყოფი საქონელი დარჩენილა ტურცხში—8 სული და გუმურდოში—4 სული.

✦ ტოლოშის (ახალციხის მაზრა) სკოლის ზედამხედველი მღ. გ. შატბერაშვილი გვთხოვს დავბეჭდოთ: „უღრმეს მადლობას ვუცხადებ როგორც ჩემის, ისე ტოლოშის სკოლის მოსწავლეთა მხრივ ეპისკოპოსს კირიონს, რომელმაც კეთილ ინება და მიმდინარე წელს ტოლოშის სკოლას დაუკვეთა საყმაწვილო კრებული „მერცხალი“.

✦ 5 ივნის ტფილისის ქალაქის გამგეობას განუხილავს განცხადება ლომბარდის კასირის ლისიციანისა, რომელიც ამავე დროს დაგირავებულ ნივთების საკუჭნაოს გამგედაც არის. ლისიციანი სწერს: რადგან სამსახურს თავი დავანებე, გთხოვთ ბედ დატოვებული 2000 მან. უკანვე დამიბრუნეთო. რადგან ლომბარდის საკუჭნაოდან მსახურმა სტადნიკოვმა 3000 მანეთის ნივთები მოიპარა, გამგეობას დაუდგენია, ვიდრე კასირი ლისიციანი მთელს საკუჭნაოს არ ჩააბარებს ლომბარდის გამგეს, მანამ ბე არ დაუბრუნდეს. ლისიციანს მეორედ უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის გადაეთვალიერებინა თავისი დადგენილება. 12 ივნისს გამგეობამ დაადგინა, ვიდრე სასამართლ არ გაარჩევს ლომბარდის გაქურდვის საქმეს, მან ლისიციანს არ დაუბრუნდეს ფული.

რუსეთის ქრონიკა

✦ „სამარკანდ“-ის კორესპონდენტი სწვევია სახელ-განთქმულ რუსეთის მწერალ ლ. ნ. ტოლსტოის და იუწყება, რომ ლ. ნ. ტოლსტოი ჯანმრთელად არის და ძლიერ სწუხს თურმე ომიდან მოსულ საზარელ ამბების გამო. ტოლსტოი წინანდებურად ბევრს მუშაობს და სწერს. ამ ბოლო დროს რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ დაუწერია დიდი წერილი; ასწორებს თავის მოთხრობას „ჰაჯი-მურადს“; უკვე დაწერილი აქვს ამბავი „ბალის შემდეგ“, ნიკოლოოზ I-ის დროისა. სწერს მოთხრობას „ყალბ კუპონს“, ფრიად ორიგინალურ შინაარსით: მოთხრობის გმირები—კეთილი და ბოროტია და მოქმედება თანამედროვე ცხოვრებაში სწარმოებს. ტოლსტოის დაწყებული აქვს აგრეთვე ორი წერილი: „გონება“ და „ქვა-კუთხედი“, რომლებშიაც მსჯელობს ომის შესახებ ამ საგანზე ბევრ ფილოსოფოსის აზრები ჰყავს.

✦ გაზ. „ს.-პეტერ. ვედ.“-ი იუწყება, შინაგან საქმეთა მინისტრმა აღუკრძალა სამარის გუბერნიის ერობას გუბერნიაში ადგილობრივ სტატისტიკურ გამოკვლევის განგრძობა.

✦ ვარშავის ქალაქის გამგეობას გადაუდვია 300 ათასი მანეთი საზოგადო ქესატობის გამო უსაქმოდ დარჩენილ მუშებისათვის სამუშაოს გასამართავად.

✦ ოდესიდან სამწუხარო ამბავს სწერენ „რუსკ. სლ.“-ს. ორ ახალგაზრდა მოსამსახურე ქალს ქურდობა დასწამეს და დააპატიმრეს. საქმე რომ გამოიძიეს, დარწმუნებულან, რომ არც ერთ მათგანს ქურდობაში ბრალი არ სდებია. დაპატიმრებას ძლიერ ცუდათ უმოქმედნია ახალგაზრდა ქალებზე. საქმროებსაც ხელი აუღიათ იმათზე, როცა შეუტყვიათ მათი დაპატიმრების ამბავი. ახალგაზრდა ქალებს თავის მოკვლა გადაუწყვეტიათ, მატარებელ ქვეშ ჩავარდნილან და მატარებელს გაუჭყლეტია საბრალო ქალები.

ფელეტონი

წერილები პარიზიდან

V

მწერლობა და ხელოვნება, ახალი ხანა საცეკვაო ხელოვნებაში —საქალაქო არჩევნები.

დიდი ნახტომი არ მოგვივა, თუ მწერლობიდან ხელოვნებაზე გადავალთ ორნივე მეტად მჭიდროდ არიან ერთმანერთზე გადაბმულნი; როგორც ერთი, ისე მეორე ემსახურება ჩვენს გონებრივ ამაღლებას, ზნეობრივ განსპეტაკებას; როგორც პირველი, ისე მეორე სცდილობს ჩვენი პირველყოფილი ბუნება გააშალამინოს, უფრო განაწმინდაოს და საზოგადოდ უფრო მოკვაშინაუროს, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ.

მკითხველს უნდა მოველაპარაკოთ ქორეოგრაფიულ (საცეკვაო) ხელოვნებისა და მის ახალ ქურუმის მის იზადორა დუნკანის შესახებ. ეს ახალგაზდა ამერიკელი ქალი თანამედროვე ქორეოგრაფიულ ხელოვნებას მთლად გარდაქმნას უქადის. იმის ცდაშია, დაგვანახვოს, რომ ის როკვა ნამდვილი, ბუნებრივი როკვა, რომელიც მართლად გამოხატავს ჩვენის სულის კვეთებას, ჩვენს წუხილს, სევდას, მწუხარებას, სიხარულს, აღფრთოვანებას და არა ის როკვა, რომელიც ბრმად, უგრმოჭრილად ემორჩილება ზომიერებას, რითმას. დუნკანი იმის ცდაშია, გამოხატოს თამაშობით მუსიკის პირდაპირი აზრი.

ახალის როკვის ანუ პირველყოფილის, ბუნებრივის როკვის აღმდგენელი, როგორც ვსთქვით, ახალგაზდა ამერიკელი ქალია. სახელის მოხვეჭის სურვილმა ამ რამდენისამე წლის წინად პარიზში ჩამოიყვანა. აქ ერთი უდიდესი თეატრი დაიქირავა და თავის საყურებლად პარიზის რჩეული საზოგადოება შეაკრიბა. დუნკანი პარიზელთა წინაშე მსუბუქად ჩაცმული, ფეხშიშველა თამაშობდა, თამაშობდა მისგანვე მოგონილ სათამაშოს, რომ მით გამოეხატა მუსიკალურ ნაწარმოების აზრი. ზოგს ძლიერ მოეწონა დუნკანის აზრი, უმრავლესობამ კი წუნი დასდო. წუნი დასდეს იმათ, ვინც შეჩვეულნი იყვნენ შაბლონს, რითმას, ზომიერებას. დუნკანმა გული არ გაიტეხა და პარიზიდან გერმანეთში წავიდა,—აქ უფრო დააფასებენ ჩემს მეცადინეობასაო. აქ მართლა გაიმარჯვა.

გერმანიიდან დუნკანი საბერძნეთში წავიდა, რომ ქანდაკებათა შემწეობით შეესწავლა მიხვრა-მოხვრა და მოძრაობა ძველებურ თამაშობისა. მისმა ათინაში მოგზაურობამ ქვეყანა აალაპარაკა. საბერძნეთის სატახტო ქალაქის ქუჩებზე ხშირადა ხედავდნენ ამერიკელ ქალს უსუდიანად მოსიარულეს, მსუბუქ პერანგს, ფეხებზე სანდლებ ამოკრულს. თან დაჰყვებოდა დედა მისი, იმნაირადვე მოსილი, და ძმა ბიცეკლისტის ტანისამოსით, ფეხშიშველა.

დილა ადრიან ქ-ნი დუნკანისა აკროპოლისაკენ მიემართებოდა ხოლმე. აქ გამოჩენილ ქალაქის ძირას, დიონისიოს ძველ თეატრში თამაშობდა მარტოდ-მარტო, არავინ უყურებდა ისე, საკუთარის თავის სიამოვნებისათვის. ამასობაში მზეც დიდებულად ამოიზიდებოდა და თვისს სხივებს გადაჰფენდა ხოლმე ძველთა დროების დიდებულთა ნაშთთა. დუნკანს რო ჰკითხავდნენ, ასეთი უცნაური თამაშობა რადა არისო, უპასუხებდა: „ჩემის თამაშობით ღმერთებს ვადიდებ. თან ვედრებას აღვავლენ ხოლმე მათდამი. როცა კარგად ვთამაშობ, ღმერთებს უხარიანთ“.

დუნკანმა თავისის კერპთ-თაყვანის მცემლურის ოცნების განსახორციელებლად საბერძნეთში სკოლაც-კი დააარსა, სადაც ბავშვებს ასწავლიდა გარმონიულ მოძრაობასა და პლასტიკურ თამაშობის მეცნიერებასა. იმასაც კი ამბობენ, რომ აზრადა აქვს, პატარა საჯვარე გაიშენოს და ხალხს უთხრას: თაყვანი მეცით და მსხვერპლი შემომწირეთ ვითარცა ღმერთსაო.

ძველად ერთმა ბეჩავმა ბერძენმა, აქაო და სახელს გავითქვამო, ეფესის ტაძარი დასწვა. იზადორა დუნკანი-კი აშენებს. მხოლოდ, თუ ამერიკულ გაზეთებს დავუჯერეთ, დუნკანს იგივე აზრი არა აქვს, რაც ეროსტრატესა ჰქონდა: ეს ქალი რწმუნების, ესტეტიურ ვნებათა-ღელვის გავლენით მოქმედობს.

პარიზში დუნკანი მეორედ წრეულს მოვიდა და 27 აპრილს ტროკადეროს სადღესასწაულო დარბაზში თავისი თამაშობა ხელ-ახლა აჩვენა აქაურებს. ამ საღამოს დუნკანმა თამაშობით სთარგმნა სიმბოლიური პოემა ბეტჰოვენისა „მე-7 სიმფონია“, ეს ამათთვის ცეკვის, სავსე გრძნობათა როგორც ტრაგიკულ, ისე იდილიურითა, მღგზნებარე, მხიარული და თან სამგლოვიარო. დუნკანის თამაშობას რომ უყურებთ, პირველად სახტად რჩებით და თქვენის თავისათვის სრული ანგარიში ვერ მიგიციათ. ეს კითხვა გებადებათ თავში, ნუ თუ ეს ცეკვაა, თამაშობაა? სიტყვა „თამაშობა“ ისე გვაქვს წარმოდგენილი, რომ მუსიკას ფეხი რითმიულად, გამოზომილად და შეწყობით უნდა აჰყვესო. ერთბაშად-კი სცენაზე გამოდის მსუბუქად ჩაცმული ქალი, ფეხ-შიშველა და იმის მაგიერ რომ ჩვეულებრივი ნაცნობი მაზურკა ან მებრი თამაშობა დაუაროს, ხელებს ჰშლის, ცად აპყრობს, გასაფრენად განმზადებული, ფეხებს ისვრის წინ, უკან, განზე... მაგრამ პირველი შთაბეჭდილება გადაგივლისთ. მომხიბვლელი მუსიკა თქვენც გიტაცებსთ და თქვენც ამბობთ, კვერს უკრავთ მოთამაშეს.—თამაშობა მართლა ასეთი უნდა იყოს, ეს უფრო გვაახლოვებს ბუნებასთანაო. და რამდენად უფრო ბუნებრივი და სადა ჰხდებოდა მისი თამაშობა, სწორ-უპოვარი პლასტიკა, იმდენად უფრო მეტი ფასი ემატებოდა მის მიხვრა-მოხვრას, ჰაეროვანს, ცეზიურს... და ათი-ათასი ქალი და კაცი, აღტაცებად გადაქცეული, მოხიბლული და ტყვედ-ქმნილი, ერთსულოვნის განუწყვეტელის ტაშის ცემით აჯილდოვებდა ახალგაზრდა ამერიკელ ქალს.

ერთის სიტყვით იზადორა დუნკანი გვიმტკიცებს იმ აზრს, რომ სიტყვა თამაშობა უნდა გვესმოდეს ისე, როგორც ეს ბერძენთ ესმოდათ, მათის დროს ეს ხელოვნება არ წარმოადგენდა ჩვენებურს ხტუნვას, გამოზომილს ხტუნვას, ნახევრად უაზროს და ნახევრად ვნებათა აღმტყინებელს. ჩვენ სახელმძღვანელოდ და მისაბაძად უნდა გვითვალისწინოთ თამაშობა, რომელიც გამომხატველი იყო აღტაცებულ ვნებათა ღელვისა, გარდა იმავე დროს ეს თამაშობა უმაღლესის მშვენიერებით იყო მოსილი და შიგ იხატებოდა აზრი ღვთის-მსახურებისა, ახალგაზრდათა თავისუფალ და ნარნარ მოძრაობით გამოთქმული.

ქ-ნს დუნკანს, ამ მკვდრეთით აღმდგენელს კლასიკურ საბერძნეთის ხელოვნებისას, აზრადა აქვს მთელი სკოლა დააარსოს თამაშობის ხელოვნებისა და ერთ დროს სცენაზე მარტო-კი არ გამოჩნდეს, არამედ თავისთან ერთად [illegible] მთელი გუნდი ამ ორიგინალურის თამაშობის მის ებრ აღმასრულებელთა და სავსებით ცხოვრებ ერთს დროს ესდენ ქებული და დიდებული, აწ უკვე დავიწყებული როკვა კლასიკურ წარსულისა.

—

წინა წერილში უკვე გწერდით, რომ 1 მაის (ახ. სტ.) საქალაქო არჩევნები იყო როგორც პარიზსა, ისე მთელს საფრანგეთში. იმასაც გწერდით, რომ 1 მაისს არჩევნები არ დამთავრებულა და დამატებით არჩევნები სწორისთვის (8 მაისსათვის) იყო დანიშნული. გამართლდა იმე რესპუბლიკანელთა, მათმა ცდამ, ერთობამ თავისი გაიტანა და სრული გამარჯვება მიანიჭა როგორც დედა-ქალაქსა, ისე დეპარტამენტებში.

პარიზში დამატების არჩევნებზე არჩეულ იქმნა რესპუბლიკანელი (სოციალისტი და რადიკალი) ხმოსნები 17; რესპუბლიკის წინააღმდეგ (ნაციონალისტი) 9. თუ ამ რიცხვს მივუმატებთ მაისს არჩეულია რიცხვი: სოციალისტებისა 27, ნაციონალისტებისა 27—გამოვა სულ: სოციალისტები 44, ნაციონალისტები 36 სულ 80.

ამ გვარად ახლად შემდგარ ქალაქის საბჭო სოციალისტებს 8 ხმით მეტი აქვსთ მოწინააღმდეგეებზე. ასე რომ თამამად და უშიშრად შე ლიათ საბჭოში თავისი აზრი და პროექტი გატარონ.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რამდენი ამომ ჩევლები ჰყავდათ პარიზში ორსავ პარტიას. სამ ნისტროს მიერ გამოქვეყნებულ ცნობათა თანახმ რესპუბლიკანელთ ჰქონიათ 358,002 ხმა, ნაცი ნალისტებს 254,027; ანუ რესპუბლიკანელთ ნ ციონალისტებზე 103,975 ხმით მეტი ჰქონიათ, რითაც აიხსნება მათი გამარჯვება.

დეპარტამენტშიაც დამარცხდა რეაქცია. საფრან გეთის ქალაქებსა და დაბებში არჩევნებ დე სამინისტროს მომხრე 230 საბჭო, წინააღ დეგი—131 და საეჭვო—18. ხოლო არჩ ბის შემდეგ სამინისტროს მომხრე საბჭოა 26 წინააღმდეგი 102 და საეჭვო 17. ასე სამინისტრომ 30 ახალი საბჭო შეიძინა.

მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტს ბ-ნს კომ როგორც რესპუბლიკის პრინციპების ერთ დამცველთაგანს, საფრანგეთის სხვა-და-სხვა

◆ გაზ. „დონ. რეჩ"-ს შეუტყვია, რომ მწერალ ნ. პ. ნოვიკოვის თაოსნობით სამხრეთ რუსეთის ჟურნალისტებს კავშირის შედგენა განუზრახავთ, რომლის მიზანი იქმნება —მატერიალური და ზნეობრივი საურთიერთო დახმარება.

◆ ვიბორგის გუბერნატორმა (ფინლიანდიაში) ბრძანება გამოსცა, რომლითაც აუკრძალა ვიბორგის გუბერნიის სხვა-და-სხვა საგარაკო ადგილას ებრაელთ ბინადრობის ადგილებიდან საზაფხულოდ ჩამოსულ ებრაელებისათვის სახლების მიქირავება. გუბერნატორის ბრძანების დამრღვეველთ 100 მარკა ჯარიმა გადახდებათ.

◆ არსებულ კანონის ძალით სასოფლო ყრილობას უფლება ჰქონია აუკრძალოს თავის წევრს უმაღლეს სასწავლებელში შესვლა. ერთი ამგვარი შემთხვევა მომხდარა რუსეთში ამას წინად. გლეხის შვილს ვიღაც პ—ს საშუალო სასწავლებელი დაუსრულებია და უმაღლესში შესვლა მოუსურვებია. ამისათვის საჭირო ყოფილა ვოლოსტიდან განთავისუფლება და სასოფლო გამგეობის შესაფერი მოწმობა. სასოფლო ყრილობას დაუდგენია, ასე თუ განთავისუფლეთ ხალხი, გადასახადი მარტო ჩვენ დაგვაწვება კისერზეო და უარი შეუთვლია ახალგაზდა კაცისათვის.

◆ მკურნალ-ქალთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებას განუზრახავს დააარსოს სოჩაში თავ-შესაფარი-საავადმყოფო მოხუცებულ და მოქანცულ მკურნალ-ქალთათვის.

◆ რკინის გზის მოძრაობის უფროსთა კომისიას განუხილავს საკითხი სადგურების ბუფეტების შესახებ და გადაუწყვეტია, მოსპოს კონკურენციით ბუფეტების გაცემა, რათა მხოლოთ საიმედო პირებს მისცენ ნება რკინის გზის გამგეობათ სადგურზე ბუფეტების გახსნისა.

◆ უმაღლეს საქალებო კურსებზე იურიდიულ ფაკულტეტის დაარსება განუზრახავთ. მომავალ შემოდგომას საერო განათლების სამინისტრო განიხილავს პროექტს ამ საკითხის შესახებ.

◆ ლოძის ქაღალდის ქარხნებში ქესატობის გამო სამუშაო დღეები კვირაში 6-დან 4-მდე შეუმცირებიათ.

◆ შინაგან საქმეთა მინისტრს უმაღლესად ებრძანა, კურსკის გუბერნიის საერობო დაწესებულებათა დაწვრილებით რევიზია მოახდინოს.

† ნ. ფ. დუბროვინი

ტელეგრაფმა გვაცნობა გუშინ-წინ, რომ პეტერბურგს გარდაცვლილა აკადემიკოსი ნიკოლოოზ ფ. დუბროვინი. განსვენებული რუსეთის ცნობილი მწერალი და ისტორიკოსი იყო. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა საარტილერიო აკადემიის დამთავრების შემდეგ მე-50 წლების ნახევარში. სწერდა მოთხრობებს, პუბლიცისტურს წერილებს, სამხედრო და სამოქალაქო ისტორიულს გამოკვლევებს. თან-და-თან მოთხრობებსა და პუბლიცისტურს წერილებს თავი დაანება და შეუდგა სპეციალურად ისტორიულს შრომას. 1868 წელს ნაინიშნა მთავარ შტაბში განსაკუთრებით სამხედრო-ისტორიულ გამოკვლევათა დასამზადებლად და გამოსაცემად, ხოლო 1891 ჩაირიცხა სამეცნიერო აკადემიაში. ისტორიულ წერილების ბეჭდვა დაიწყო „არტილ. ჟურნალ"-ში, შემდეგ სწერდა „რუსსკ. ვესტნიკ"-სა, „ოტეჩ. ზაპისკ"-სა, „ისტორიჩ. ვესტნიკ"-სა და სხვა ჟურნალებში. იმის ცალკე თხზულებებიდან ცნობილია: მასალები ყირიმის ომის ისტორიის შესახებ; პუგაჩოვი და მისი თანამშრომელნი; ყირიმის შეერთება რუსეთთან; ნაპოლეონთან ბრძოლა 1812 წელს; ცნობილ მოგზაურისა და გეოგრაფის პრჟევალსკისა ბიოგრაფია და სხვა.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, უფრო საინტერესოა, რომ გარდაცვალებული დუბროვინი ჩვენის მხარის ისტორიისთვისაც მუშაობდა. მას უფრო აინტერესებდა დიდმნიშვნელოვანი ეპოქა საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და ამ ეპოქის წინა დრო—დამოუკიდებელ საქართველოს უკანასკნელი დღეები. ამგვარ თხზულებათაგან ცნობილია: „გიორგი მე-XII, უკანასკნელი მეფე საქართველოსი და ამის შეერთება რუსეთთან", „ამიერ-კავკასია", „კავკასიის ომი და რუსეთის მფლობელობის დამკვიდრება კავკასიაში" და სხვა.

განსვენებული დაიბადა 1937 წელს, ასე რომ 67 წლისა გარდაიცვალა. იყო მხნე მუშაკი და უკანასკნელ დრომდე აკადემიაში მოღვაწეობა არ შეუწყვეტია.

კარგი საქმე

თანახმად ვლ. ს. მიქალაძის მოხსენებისა, სამეურნეო ბანკს კრედიტი გაუხსნია „მშრომელთა წრისათვის" (Союзъ тружениковъ), რომელიც ეხლა-ხან დაარსდა ქუთაისის მაზრაში სოფელს ჯაგანს. დამაარსებელნი არიან აზნაურნი გვარად ქაჯაიები, რომელთაც განიზრახეს, ჩვენვე და მხოლოდ ჩვენის შრომით და გამრჯელობით დავამუშაოთ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი მამულებიო. ამ საზოგადოების წესდება მთავრობისაგან უკვე დამტკიცებულია და „წრეც" მხნედ შესდგომია საქმეს.

თუ არ ვსცდებით, ეს პირველი მაგალითია საქართველოში და ისეთი მაგალით, რომელმაც უნდა წააქეზოს ჩვენი თავად-აზნაურობა. ჩვენის თავად-აზნაურობის გაღარიბების და დამცირების მიზეზი ის იყო და არის კიდეც, რომ იგი შრომას ერიდებოდა და თავის მიწა-წყალს სხვას აძლევდა, შენ იმუშავე და მე მარჩინეო. ყოველი შრომა-გამრჯელობა კეთილშობილი მოქმედებაა, განსაკუთრებით მიწის დამუშავება, სოფლის ოჯახობის მოწყობა და მომართვა. სამწუხაროა, რომ ჩვენი „კეთილშობილი წოდება" ამ კეთილშობილ საქმეს გვერდს უვლიდა, ხვნა-თესვა სამარცხვინო საქმედ მიაჩნდა, გლეხებს შესცქეროდა, თქვენ გვიშველეთო. ნუ თუ ეხლაც არ დავრწმუნდებით, რომ ყველამ თავის თავს თითონ უნდა უშველოს: სხვისა იმედი ცუდი იმედია.

მადლობა ღმერთს, თავად-აზნაურობა თვითმოქმედების შესდგომია და აზნაურთ ქაჯაიებს უნდათ ეს საქები და მართლა კეთილშობილი მაგალითი გვაჩვენონ. ღმერთმა ხელი მოუმართოთ: ეჭვი არ არის, რომ საქმე კარგად წავა და ეს მაგალითი ჩვენს ქვეყანას მოედება. დარწმუნებულნი ვართ, „მშრომელთა წრე" საქმეს არ უღალატებს. *)

№ №

თეატრი

დ. ყვირილა. დიდის ხნის მოლოდინის შემდეგ ჩვენც გვეღირსა ბ-ნ სუმბათაშვილის ცნობილ პიესის „ღალატი"-ს მოსმენა. 11 ივნისს ტფილისის დასის არტისტებმა წარმოადგინეს ეს პიესა. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. ზეინაბის როლი შეასრულა ქ. კარგარეთელმა, მაიკოსი—გაბუნია-ცაგარელმა, რუქაიასი მდივანმა, ოთარ-ბეგისა გუნიამ, ანანიასი ყიფიანმა. არ გვაკლდნენ ჯარის კაცნი. საზოგადოება ცოტა დაესწრო. უმთავრესი ამისი მიზეზი ის იყო, რომ წარმოდგენა უბრალო დღეს დადგეს და მერე წვიმა იყო. **საყულიელი**

წერილები

ს. ხუნევი (იმერეთი). 4 ივნისს ბოროტ-მოქმედნი, რიცხვით ათ კაცამდე, ღამის 9 საათზედ თავს დაეცნენ გაჩეჩილაძის დუქანს. დუქანში ყოფილა გაჩეჩილაძე და იმისი ცოლშვილი. ბერდანკების სროლას და ბრახუნს ოჯახი გამოუღვიძებია. გაუგიათ რა, რაშიაც იყო საქმე, უკანა კარებიდან გაქცეულან, გასულან მდ. ძირულაში და თავისთვის უშველნიათ. დუქანში დარჩენილა უფროსი შვილი მედუქნესი (30 წ. სულით ავადმყოფი). ყაჩაღებს გაუტეხიათ დუქანი წერაქვებით და შევარდნილან შიგ. აქ გაჩეჩილაძის შვილს წინაამდეგობა გაუწევია იმათთვის, მაგრამ რას გახდებოდა, ცემის მეტს რას ჩამოარჩებოდა. ერთი ყაჩაღი გასულა უკან დასათვალიერებლად, ხომ არავინ არისო. მას ვერ შეუმჩნევია კარის უკან მედავითნე მიმალული აბო ციცქიშვილი, რომელიც იქვე, მეზობლად სცხოვრობდა თავის დუქანში და რომელსაც გაქცევა ვერ მოესწრო. შემდეგ ყაჩაღი დუქანში დაბრუნებულა. ამ დროთი უსარგებლნია ციცქიშვილს და უქუსლავს. როდესაც გონს მოსულა, დაუწყია ყვირილი: „ვინა ხართ ქრისტიანი, გვიშველეთ, ყაჩაღები დაგვეცნენო." მაგრამ ასეთი კაცი არავინ გამოჩნდა თურმე. თუმცა ბერდანის სროლამ მთელი სოფელი გამოაღვიძა. შეკრებილან, შორიდან სეირისთვის დაუწყიათ ყურება და ახლო-კი ვერავის მიუბედნია. ბერდანების დაუსრულებელმა სროლამ სოფელს შიშის ზარი დასცა. ყაჩაღებს წაუღიათ, რაც კარგი საქონელი იყო, ასი მანეთი ფულად, მიულეწმოულეწნიათ იქაურობა და მხიარულად, ბერდანების სროლით გასდგომიან გზას. დილაზედ დუქნის წინ ნახეს ბერდანების ტყვიები და ერთი წერაქვი, რომელიც იმათ დარჩენოდათ. ეჭვი მიიტანეს სამს კაცზე და სამივე დააპატიმრეს. **ვლ. გ—ვა.**

თელავი. თელაველ ვაჭართა შორის ქესატობაა გამეფებული; ყველა ვაჭრობას უჩივის: ვაჭარი ტირის, ხელოსანი წუწუნებს, მუშტარი ნისიათ თხოულობს და ყინულზე სწერს თამასუქს. ზოგი ვაჭრობის ასე დაცემის მიზეზად რუსეთ-იაპონიის ომსა სთვლის. ომს მარტო თელავზე არ უმოქმედნია, როგორც ეტყობა, ყველგან კრიზისია გამეფებული, ამიტომ ზოგიერთებმა თელავს მოატანეს ორიოდ გროშის

---

*) ეჭვს გარეშეა, ჰაგანის აზნაურთ კარგი საქმე დაუწყიათ, მაგრამ, ჩვენის აზრით, კოოპერაციის შეზღუდვა წოდებრივს ფარგალში იმისთვისაც-კი არ იქმნება სასარგებლო. ამას წინად ჩვენი ქუთათური კორესპონდენტი გვწერდა, რომ ამ კავშირში გლეხებსაც იღებენო. ჩვენ გვგონია, რომ ამ გზით „კეთილი საქმე" კეთილ ნაყოფსაც უფრო გამოიღებს.

რედ.

სიდან მრავალი მოსალოდნელი დეპეშები მოუვიდა. და ამ ნაირად გაიმარჯვა რესპუბლიკამ, საფრანგეთის მოწინავე და ქვეყნის ერთგულებით გამსჭვალულმა პარტიამ. დამარცხდნენ ნაციონალისტები, დამარცხდნენ რეაქციონერები და მათნი დამქაშნი კლერიკალნი, რომელნიც საფრანგეთის ერს და საფრანგეთის ქვეყანას დამხობას უქადდნენ თავიანთის ვერაგობით.

საფრანგეთში საარჩევნო გამარჯვება რესპუბლიკანელთ კვლავაც არა ერთხელ დარჩენიათ. მაგრამ ეგევე გამარჯვება ყოველთვის საძიებელი გახდომიათ, რადგან გამარჯვებისაგან თავბრუდასხმულთ ბრძოლაზე ხელი აუღიათ. დროებით მათის მდუმარებით სარგებლობდნენ მტერნი, რომელნიც კლერიკალებს შეუერთნენ, 1900 წლის არჩევნებზე რესპუბლიკანელებზე იერიში მიიტანეს და ძლევით შეიმოსნენ კიდეც. მაშინ და ჩავარდნენ საგონებელში რესპუბლიკის ერთგულნი მომხრენი და გაითვალისწინეს რა, თუ რა საფრთხე მოელოდა ქვეყანას ნაციონალისტებისაგან, საოცარის ერთგულობით შეუდგნენ მზადებას. პირველი და მთავარი გამარჯვება რეაქციაზე—საფრანგეთიდან ბერების განდევნა იყო. დაუვიწყებელი ღვაწლი მიუძღვის ამ მხრივ კომბს, რომლის სახელი შთამომავლობისათვის მარად სახსოვარი იქმნება. კლერიკალიზმის დამარცხებამ ნაციონალისტთ თავზარი დასცა და, თუმცა მაინც გულს არ იტეხდნენ, წინდაწინვე იცოდნენ, რომ საარჩევნო გამარჯვება მეტად საეჭვო მოსაპოებელი იყო მათთვის.

სოციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ მარტო ნაციონალისტები-კი არ დამარცხებულან საქალაქო არჩევნებზე, არამედ დამარცხდა და დამარცხდა სამუდამოდ თვით ნაციონალიზმი, რეაქცია, კლერიკალიზმი,—და ესრედ გადარჩა ქვეყანა განსაცდელს და უთენდება დღე მზიანი და სასოებით აღსავსე, მისი ბედნიერება სამარადისო და უზრუნველყოფილია. **თ. ს.**

წერილი ნიუ-იორკიდან

ოჯახში

დავბინავდი ერთ ნაცნობთან და პირველ ხანს თავს რაღაც მოუსვენრად ვგრძნობდი. სადაა ეზოს მცველი, ან პოლიციელი შემოვა და პასპორტს მომთხოვს მეთქი—ვფიქრობდი; მაგრამ, როგორც იქნა, შევეჩვიე იმ აზრს, რომ აქ სხვა წესებია.

ამბობენ, ამერიკელი უსულ-გულო ადამიანია. რაც უნდა გაჭირვებაში იყო, ზედაც არ შემოგხედავს; იმას მარტო თავისი თავი უყვარს და სტუმარი სძულსო. რამდენად მართალია ეს, ქვემოდ დავინახავთ. ამერიკა უმეტეს ნაწილად გადმოსახლებულ ოჯახებისაგან შესდგება და ამათში ძველი ტრადიციები ჯერ კიდევ არ გამქრალა; სტუმართ მოყვარეობაც ამიტომ ძალიან გავრცელებულია.

— რამდენი ხანია, რაც აქა სცხოვრობთ?— შევეკითხე ჩემ მასპინძელს.

— აგერ მეცამეტე წელიწადი იქნებაო, მომაგო იმან, —ეხლა სამშობლოში ერთ კვირასაც ვეღარ გავძლებ. ამერიკას ისე შევეჩვიე, რომ ეხლა ეს მიმაჩნია სამშობლოდო.

მართლაც, სულ სხვა ნაირია აქაური ცხოვრება, აქაური წეს-წყობილება; სულ სხვა გვარია აქაურ ადამიანის ფსიხოლოგია. ვინც აქ სამუდამოდ ესახლება, ის მართლაც ხელ-ახლა იბადება და ძველი სამშობლოსაც სრულიად ავიწყდება. დიახ, აქაური ცხოვრება სცვლის ადამიანს თავიდან ფეხებამდე, სცვლის იმიტომ, რომ თვით აქაური ცხოვრება ძირეულად განირჩევა ჩვენის სამშობლოს ცხოვრებისაგან.

ავიღოთ ოჯახი, მაგალითად, გავიცნოთ იმისი ეკონომიური ხასიათი, მისი ზნეობრივი ფიზიონომია და შევადაროთ ჩვენებურ ოჯახთან. დიდ განსხვავებას, თითქმის მთელ უფსკრულს, დავინახავთ.

ამერიკელს მთელი თავისი ეკონომიური ძალა შრომის გასაადვილებლად მიუმართავს, ამიტომაც შრომა საშინლად გაადვილებულია ყველგან, გაადვილებულია ოჯახშიაც. მოსამსახურეს ოჯახში აქ იშვიათად შეხვდებით, მოსამსახურის ქირა აქ შედარებით დიდია, თვეში 20 დოლარს (40 მან.) არ ჩამოუვარდება. დიახ, საშუალო ოჯახში აქ მოსამსახურეს ვერ დაინახავთ, და არც-კი რა საჭიროა მოსამსახურე, როცა დიასახლისს შეუძლიან 2-3 საათის შრომით ოჯახს სავსებით მოუაროს. აგერ, კუთხეში სდგას პლიტა; საკმაოა ერთის ვინტის მობრუნება და ცეცხლი აინთება. ერთის თვალის დახამხამებაზე დიასახლისი სადილ-ვახშამს მოარჩევს, რაც უნდა ბევრი სტუმარი ჰყავდეს. ოთახის გასანათებლად ნავთი საჭირო არ არის, ოთახის გასათბობად შეშა არა სჭირდებათ. ძირს, სადღაც სარდაფში, დღე და ღამ ხურდება ფეჩი ქვა-ნახშირით და ქვემოდან სითბო გადადის სახლის ყველა სართულსა და ყველა ოთახში მილების საშუალებით, მილიდან ოთახში სითბოს ან შეაჩერებს ან შეანელებს, როგორც უნდა მასპინძელს. ოთახში ყველას ტელეფონი აქვს. ვთქვათ, დიასახლისს რამე საყიდელი აქვს: ტელეფონით მოითხოვს და მაშინვე მოუტანენ, რაც უნდა.

ოჯახის უფროსი დილით გარედ არის გასული სამუშაოდ, საღამოს მარტო დასაძინებლად მოდის შინ. მაგრამ ოჯახი მარტო მასპინძლის შრომაზე არ არის დამყარებული; აქ ფულისათვის მუშაობს ქალიც, როცა იმას მცირე წლოვანი ბავშვები არა ჰყავს აღსაზრდელი. მუშაობენ ბავშვებიც, როცა 15-16 წლის შესრულდებიან. ცოლი ეკონომიურად ქმრისაგან დამოუკიდებელია და შვილი კიდევ მამისაგან. ხშირად ოჯახი მთელის დღეებით კარ-ჩაკეტილია, შინ მარტო კვირაობით მოიყრიან ხოლმე თავს. კვირაობით იციან სტუმრიანობაც.

სტუმარი თავისს მოსვლას მასპინძელს ქუჩიდან, შემოსავალ კარებიდანვე ზარით ატყობინებს. მასპინძელი ოთახიდან აგებინებს, მობრძანდი, შინ ვარო.

პატივი მაქვს გაგაცნოთ:—Mister—miss, ან mistress—ესა და ესაო, ეუბნება მასპინძელი სტუმარს, როცა უნდა ვინმეს გააცნოს. გასაცნობად საკმაოა თავის დაკვრა; ადგომა, ფეხების ერთმანეთზე მირტყმა და ხელის ჩამორთმევა აქ საჭირო არ ყოფილა. „მიირთმევთ ჩაის, ვახშამს?" ეკითხება მასპინძელი სტუმარს. ვინც ერთხელ უარს იტყვის, იმას მეორედ აღარ შესთავაზებენ. ჩვენებური განაზება სტუმრის მხრივ და დაძალება მასპინძლის მხრივ აქ მოდაში არა ყოფილა. Nelp Jour self (გაუმასპინძლდი შენ თავს თვითონ), ეუბნებათ მასპინძელი სადილ ვახშმის დროს და თქვენ გინდა მიირთვით და გინდ მშიერი დარჩით.

ეს პრინციპი—Nelp Jour self—აქ გამეფებულია. ამაში იხატება ამერიკელის დამოუკიდებლობა, მისი თავისუფლების სიყვარული. აქედანა სჩანს, რომ თუ ადამიანს პირადად ენერგია არა აქვს თავის მიზნის მისაღწევად, თუ იმას თავისი თავის დახმარება თვითონ არ შეუძლიან, თუ ის [illegible], მფარველობის ქვეშ ყოფნას შეჩვეულია,—აქ ვერ გასძლებს, ან უნდა წავიდეს აქედან, ან აქვე შიმშილით მოკვდეს. ამერიკელი ბუნებით, სულით და ხორცით ეგოისტია; პირადი კეთილდღეობა მისი იდეალია. მამა და შვილი, ძმები და დები ერთი ერთმანეთთან ოფიციალურ დამოკიდებულებაში არიან, ამერიკელს არა სწამს მაღალი იდეალი, იმისი ღმერთი ფულია და მუდამ ფულზე ლოცულობს. დოლლარს ამერიკელის გული გაუქვავებია და ბევრი კარგი გრძნობა დაუხშავს. ამერიკელი ფულს თავისს სიცოცხლეზე მაღლა აყენებს, უფრო აფასებს; ჩქარობს, სცდილობს ყოველივე წამი ფულად გადააქციოს და ამასობაში თვითონ სიცოცხლის ძალი აკლდება, სუსტდება სულით და ხორცით, ცხოვრების სურვილიც ეკარგება ბოლოს და ამით აიხსნება, სხვათა შორის, რომ არსად, მგონი, თავის მკვლელობა ისე გავრცელებული არ არის, როგორც აქ.

ფული მეფობს ოჯახშიაც, ფულს დამორჩილებული ჰყავს ოჯახის ზნეობრივი მხარეც. სად არის ჩვენებური ქალის გულწრფელი სიყვარული ოჯახის ან შვილებისადმი, სად არის ის პატრიარქალური დამოკიდებულება ოჯახის წევრებს შორის? გაგონდება „ჩვენი" ეს უკან ჩამორჩენილი ცხოვრება და თავისკენ გიზიდავს, მაგრამ ამ დროს „კულტურა" ყურში ჩაგძახის—ჩემი კანონი ასეთია და სადაც უნდა იყო, იქ მოგწვდებით.

დიახ, ფული აქაურ ადამიანისთვის მაღალი სატრფიალო იდეალია. ხშირად შეჰხვდებით ოჯახში 18 წლის ახალგაზდა ქალს; იგი ცოლად გაჰყოლია ისეთ მოხუცს, რომელიც ფეხზე ძლივს დადის. მიზეზი ქმრის მილიონებია.

სეეთი

საშოვნელად. ჯერ „ფოკუსნიკი“ ეწვიათ, რომელიც დიდი სიამოვნებით მიიღეს. იმან ორჯელ დაატკბო თავის ხელოვნებით თელავის საზოგადოება, თუმცა იგი ნაკლებად მიიზიდა. სამაგიეროდ მასწავლებლებმა გულ ნატკენი არ დაანარჩუნეს, მიიწვიეს ყველა სასწავლებელში და სხვა სკოლაშიაც. ეს კაცი ძლიერ მადლობელი წასულა და კახურით ლოცავდა თურმე პედაგოგებს. იმის შემდეგ ბედნიერება ჰქონდათ თელაველებს რამდენისამე კვირით ცირკით დამტკბარიყვნენ. ცირკში ბლომად დადიოდა ბაზრის ხალხი. ბენეფისში ხილის და ბალდადების მირთმევაც-კი იყო. ამათ ბევრით წინ წაუსწრეს თელავის საშუალო და მაღალ საზოგადოებას, რომელიც თეატრში ბენეფისის დროს მსახიობთ არა თუ რაიმე საჩუქარს არ მიუძღვნის ხოლმე, არამედ არც-კი დაიარება. მეცირკემ დაბალ-წოდებას ალლო აუღო და ახლა ჭიდაობა მოაყოლა. თელავი უკან-უკან მიდის. ჩვენ ქალაქს სიცოცხლის ნიშან-წყალი აკლია. წინად თუ თელავი ჩვენ დაწესებულებათა და მოღვაწეთა მიმართ მაინც გამოჩნდებოდა მისალმებით და ჩვენ მოძმეთა არ ჩამორჩებოდა, ზოგი ეხლა ამასაც ვერ ახერხებს. „ქ. შ. წე.-კ. საზოგადოების“ არსებობის 25 წლის იუბილეიც არ გაიხსენა თელავმა. აქაურ სასწავლებელთა (სასულიეროს გარდა) მასწავლებელთ ჩვეულებათ გაუხდიათ გაზაფხულზე, ე. ი. ეგზამენების წინ, მოსწავლეთა ექსკურსიაზე წაყვანა. სამწუხაროდ, გაზაფხულზე არც ერთი სეირნობა არ გათავებულა უავდროდ.

დეკადენტი.

—

მუხროვანი (გარედ კ.ხეთი). წელს ჩვენსკენ ზაფხული მოსვლას არ აპირებს. აპრილმა და მაისმა ხომ სულ წვიმებით გაიარეს, მაგრამ არც ეს ივნისი აკლებს: წვიმები და გვარიანი სიცივეები არ გვაკლია. ის გვანუგეშებს მხოლოდ, წელს ჩვენსკენ მოსავალს კარგი პირი უჩანს, თუ ბუნებამ გვიბრალა და უბედურობა არა გამოგვივარდა-რა. თქვენს მტერს, წელსაც რომ ბედმა უმტყუნოს გლეხს და არა მოუვიდეს რა, დიდს უბედურებაში ჩავარდება ისეც გაჭირვებული და თითქმის წყალ წაღებული აქაური გლეხი. სხვა არა იყოს რა, მარტო ხარჯი ველარ გადაუხდია. მოუსავლელობას თითქმის ვიღა სჩივის,—ამას ღვთის განგებას აწერს გლეხი,—უბედურება ის არის, რომ ღამის ოსტატებმა ყუაზედ მიაყენეს ბეჩავის ცხოვრება ერთგულ ქურდობით. ცხენი, ძროხა და სხვა საქონელი აღარ გადურჩათ ამ ვაჟბატონებს. გულით რომ გინდოდეთ ცხენისა და ძროხის ყოლა, ვერ გაჰბედავთ, რადგან მალე დაადებენ ეს ოსტატები თავის დამღას. კიდევ კარგია, თუ თითონვე გამოჩნდნენ მპოვნელებად და 15 ან 20 მან. გადარჩით და ჩაიბარეთ თქვენი საქონელი; თუ არა და ისე ჩაივლის, როგორც შარშანდელი თოვლი. მდევნელი აქ არავინ არის. ამ ჟამად უჯარმის საზოგადოების მამასახლისობას დროებით ასრულებს იაგორ ნიკოლოზაშვილი მამასახლისის ყ—შვილის საპყრობილიდან განთავისუფლებამდის.

კუკიელი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

მრავალი წერილი მივიღე ჩვენის ახალგაზდობისაგან. მეკითხებიან—სად და რა პირობებით იღებენ მოსწავლესა. რადგან საძნელოა ყველას პასუხი გავცე და ამას გარდა სხვებიც იქნებიან დაინტერესებულნი, უმორჩილესად გთხოვთ შემდეგი ცნობები გამოაქვეყნოთ „ცნ. ფურც.“-ში:

გიმნაზიელებს გერმანიის უნივერსიტეტს გარდა იღებენ შემდეგ სპეციალურ სასწავლებლებში: მიუნხენის, დრეზდენისა და ბრაუნშვეიგის პოლიტეხნიკუმებში. პირველ ხარისხოვან სემინარიელებს იგივე უფლებები აქვთ, რაც გიმნაზიელებს. რეალურ სასწავლებელში კურს დამთავრებულთ იღებენ დრეზდენისა და ბრაუნშვეიგის პოლიტეხნიკუმებში, ისიც საკონკურსო მოწმობით. სამთო აკადემიისათვის საჭიროა ერთი წლის პრაქტიკა. კეტენის და მიტვაიდის უმაღლესს სატეხნიკო სასწავლებლებში (ინჟინრის დიპლომით გამოდიან) იღებენ ყველას, ვისაც კი სამხედრო სამსახურში ერთის წლით დაყოვის უფლება აქვს.

უფრო დაწვრილებით ცნობების დაბარება შეიძლება (ორ შაურიან მარკით) შემდეგის ადრესით: Munchen. Russischen Leseverein для справочнаго бюро

პ. კახიანი

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 ივნისი

ლიაოიანი. ბურბონის პრინცმა, რომელიც დაესწრო იაპონელების მიერ ჩადენილ საზიზღარ ძალმომრეობას (იაპონელებმა რუსის დაჭრილები სიკვდილის შემდეგ შტიკებით დახვრიტეს) დასტოვა განცხადება სადგურ ვაფანგოუზე, რომელიც ჩვენი ჯარების წასვლის შემდეგ, იაპონელებმა დაიჭირეს. განცხადება იაპონელ გენერლების სახელობაზეა დაწერილი: პრინცი მოუთხრობს იმათ, რაც თავის თვალით უნახავს და ამბობს, დარწმუნებული ვარ, რომ ამგვარი მხეცობა აღარ განმეორდებაო. განცხადება დიდი ასოებითაა დაწერილი სადგურ ვაფანგოუს კედელზე და პრინცის მიერ ხელმოწერილია.

ლიაოიანი. („რეიტ. სააგ.“). გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის უდიდეს ჯარის პირდაპირ დარაზმდა ოკუსა და კუროკის ჯარი. თითო გენერალს ექვს-ექვსი დივიზია ჰყავს. იაპონიის ჯარი საომრად ემზადება და რიგზე ეწყობა. იაპონიის ჯარის რიცხვი ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე სამჯერ მაინც აღემატება იმ ჯარს, რომელმაც ტიურენჩენისა და ვაფანდიანის ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა. საომრად დამზადებულ ჯარის ნაწილები თანდათან ერთმანერთს უახლოვდებიან. ყველას მოუთმენლობა ეტყობა. წვიმიან ამინდების მოახლოვება აუცილებლად ხდის დიდ ბრძოლას, რომელმაც შეიძლება მთელ ხანა შეჰქმნას შორეულ აღმოსავლეთის ისტორიაში.

გლაგოვეშჩენსკი. ხარბინში გაიგზავნა ხუთი ბარჟა-საავადმყოფო წითელი ჯვრისა. ეს ბარჟები ორ გემს მიჰყავს. საავადმყოფოებს ახლავს გამგე ბარონი ბუდბერგი.

ჩიფა. („რეიტ სააგ.“). პორტ-არტურის მიდამოებიდან მოსულმა ჩინელმა სთქვა: „პარასკევს გათენებისას ვნახე იაპონიის ორი დიდი და სამი ნაღმიანი გემი, რომელნიც, როგორც ეტყობოდა, დაზიანებულიყვნენ და ადმირალ ტოგოს ფლოტს თავს ანებებდნენო.

14 ივნისი

ვილნა. მოვიდა ეპისკოპოსი ბარონი როპი, რომელსაც მრავალი კათოლიკე მცხოვრებელი მიეგება.

კილი. მეფის გემ „ვიქტორია და ალბერტ“-ზე გაიმართა სადილი, რომელსაც დაესწრნენ მეფე-დედოფალი, ტახტის მემკვიდრე და პრინცი ჰენრიხი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ექიმის შპინდლერ-ბარნაის
„მარიენბადის რედუქციური აპები“
სიმსუქნის
წინაალმდეგ
და საუკეთესო სასაქმებელი საშუალება
თითო კოლოფში ჩალაგებულია 60 აბი.
✦ კოლოფები წითელ ფერისაა ✦
დართული აქვს აღწერა იმისა, თუ როგორ უნდა მოიხმაროთ საშუალება, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.
იყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა და საafთიაქო მაღაზიებში. (3. 0—2)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

გამოვიდა გასასყიდად ახლად დაბეჭდილი
სრული გეოგრაფია საქართველოსი
ბატონიშვილის ვახუშტისა,
ავტორის სურათით, საქართველოს რუქით (კარტით) და მრავალის ახალის შენიშვნებით მ. გ. ჯანაშვილისა, გამოცემა ჟურნალ „მოგზაურისა“.
ღვაწლი ბატონიშვილის ვახუშტისა საქართველოს გეოგრაფიის შედგენით—დაუფასებელია. მისი გეოგრაფია იყო და არის ერთად-ერთი საუკეთესო სახელმძღვანელო ჩვენის ქვეყნის გაცნობისათვის. მის ამ შრომას [illegible] აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა: თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ დღეს საქართველოს ნახევარი ადგილების სახელები საუკუნოდ დაკარგული იქნებოდა ჩვენთვის და მეცნიერებისათვის, რომ ღვაწლ-მოსილ ვახუშტს ეს წიგნი არ დაეტოვებია. ვახუშტის გეოგრაფია ძვირფასი შეძენაა ყოველის ქართველისათვის იმითაც, რომ მასში იგი იპოვნის თავისი მხრის ბევრი ისეთი სოფლების, ქალაქების, ნაშთების და ადგილების აღწერას, რომლების არსებობას არც კი მოელოდა.
ჩვენ-მიერ დაბეჭდილი საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა შეიცავს 500 გვერდამდის და ღირს გაგზავნით მხოლოდ 2 მანეთი.
გამწერმა ფული უნდა გამოგზავნოს ამ ადრესით- Въ Тифлисъ, редакція „Могзаури“, Ивану Павловичу Ростомашвили. (10—211—3)

ქ. სიღნაღში,
გაზეთ „ცნობის ფურცლის“ ნომრები
ყოველ დღე იყიდება სერგო მიხეილის ძე ამირალოვის მაღაზიაში.



СѢДЕЛЬ
СПЕЦІЯЛЬ
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—41)

დაბა ახალ-სენაკის ბაზრობაზე
ამა წლის 23 ივნისიდან 30-მდე მოხდება სყიდვა-გაყიდვა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა, ცხენებისა, მსხვილ-ფეხა საქონლისა და ადგილობრივ შინა-მრეწველობის საგნებისა. 29 ივნისს მოხდება დოღი კავკასიის ჯიშის ცხენებისა არ უმეტეს 7 ვერსის მანძილისა; საუკეთესო ცხენებისათვის სამი ჯილდოა დანიშნული, რომელთა საერო ჯამი 100 მანეთია: 1-ლი ჯილდო 50 მან., მეორე— 30 მან. და მესამე—20 მან. გარდა ამისა, თითქმის ყოველ-დღე, სანამ ბაზრობა გაგრძელდება გაიმართება სხვა-და-სხვა გასართობი: სათეატრო წარმოდგენები, ცირკი და სხვა სამხიარულო, რისთვისაც მოწვეული იქნება სამხედრო მუსიკა. (3—2)

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო
ამ წლის 22 აპრილიდან დავნიშნე უკანასკნელი გაყიდვა, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამკერვალო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.
გადაჭრილი ფასებია დანიშნული.
ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.
(60—189—40) პატივისცემით ბ. გ. ბერიევი

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში
ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად დამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:
სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწყებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი (1/20) უჭურჭლოდ.
კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „
ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზე იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი (1/2 ვედრისა), ჭურჭლის ბე 6 კაპ.
ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი** № 1013.
შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დაწმენდილი (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული. (50—35—11)

ფეხსაცმელი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მაწრაფლ-მაღალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.
ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ
გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი
რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის
სამაჭრო სახლის
„ლ ე ო პ ო ლ დ ნ ე ი შ ე ლ ლ ე რ“-ის საწყობში.
ტელეფონი № 346 ერევნის მოედანი. (60—6.—55)

Доз. цензурою. 14 Іюня 1904 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომ. ქართ. ამხ—ისა. Электропеч. Груз. Изд. То—ва